საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

აბრეშუმი - ბოჭკოთა დედოფალი

აბრეშუმის ქსოვილი დიდი ხნის განმავლობაში ფუფუნების საგანი იყო. აბრეშუმის ჭიის მოვლა და მასთან დაკავშირებული ცოდნა-განათლება მხოლოდ მაღალი საზოგადოებისათვის იყო ცნობილი. ჩინურ მითოლოგიაში აბრეშუმის ძაფისა და ჭიის აღმოჩენის მრავალი ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ძვ.წ. III ათასწლეულში ღვთაების ჰუან დის მეუღლე ლეი სუ თუთის ხის ქვეშ იჯდა და ჩაის მიირთმევდა. ფინჯანში ხიდან ჩამოვარდნილი აბრეშუმის პარკი ჩაუვარდა. ცხელი ჩაიდან ამოღებისას პარკი ძაფად დაიშალა, შიგნით კი ჭუპრი დახვდა...

აბრეშუმს მხოლოდ ჩინეთში აწარმოებდნენ. მისი დამზადების ტექნიკა მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. ყველას, ვინც თუთის აბრეშუმხვევიას შესახებ საიდუმლოს გასცემდა, მოღალატედ მიიჩნევდნენ და სიკვდილით სჯიდნენ.

თუმცა VI საუკუნეში ამ ქვეყანას მაინც მოპარეს ძვირფასი ქსოვილის დამზადების წესი. ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ დაახლოებით 550 წელს ჩინეთში საიდუმლო მისიით ორი ბერი გაგზავნა. ისინი ორი წლის შემდეგ დაბრუნდნენ. ბამბუკის ხელჯოხში დამალული ჰქონდათ თუთის ამბრეშუმხვევიას კვერცხები. საიდუმლოს ფარდა აეხადა. ჩინეთის მონოპოლია (რაიმე საგნის წარმოების ან გაყიდვის განსაკუთრებული უფლება) აბრეშუმზე ამით დასრულდა.

აბრეშუმს წარმოქმნის აბრეშუმის პეპლის მუხლუხი. არსებობს ასობით სახის აბრეშუმის პეპელა. იმ პეპლის მეცნიერული სახელწოდება, რომელიც საუკეთესო ხარისხის აბრეშუმს წარმოქმნის, არის **თუთის აბრეშუმხვევია.** დედალი აბრეშუმის პეპელა დაახლოებით 500 კვერცხს დებს; თითოეული კვერცხი ქინძისთავის თავის ოდენაა. დაახლოებით 20 დღის შემდეგ კვერცხიდან ჭია იჩეკება. პატარა ჭიას კარგი მადა აქვს. დღე და ღამე ის თუთის ფოთლებს მიირთმევს. გამოჩეკიდან თვრამეტიოდე დღეში წონაში 70-ჯერ იმატებს და ოთხჯერ იცვლის კანს.

LIVEWORKSHEETS

ზრდის დასრულების შემდეგ ჭიის სხეული გამჭვირვალე ხდება, რაც ნიშნავს, რომ დროა, რთვას შეუდგეს. შემდეგ ის გამოყოფს შესანიშნავ თეთრ ძაფს და სხეულის ირგვლივ იხვევს.

ამასობაში ჭიის სხეულში საოცარი გარდაქმნები ხდება. თუთის ფოთლების გადამუშავების შედეგად ჭია წარმოქმნის ფიბროინს, ცილას, რომელიც აბრეშუმის გამომყოფ ჯირკვლებში გროვდება. ეს ჯირკვლები ჭიას სხეულის მთელ სიგრძეზე გასდევს. ამ ჯირკვლებით გამოყოფილი ფიბროინი გარედან დაფარულია წებოვანი ნივთიერებით. ჰაერთან კონტაქტის შემდეგ თხიერი აბრეშუმი მაგრდება და შედეგად წვრილი ძაფი წარმოიქმნება.

მას შემდეგ, რაც ჭია აბრეშუმის წარმოქმნას იწყებს, ბოლომდე განაგრძობს თავის საქმიანობას. ის წუთში 30-40 სანტიმეტრი სიგრძის ძაფს ართავს და ამ დროს თავს არ აჩერებს. ერთი გამოთვლის თანახმად, პარკის ბოლომდე ამოსახვევად ჭია დაახლოებით 150 000–ჯერ ატრიალებს თავს. ორი დღე-ღამის განმავლობაში მძიმე შრომის შედეგად იგი დაახლოებით 1 500 მეტრი სიგრძის ძაფს ართავს. ეს კი ოთხჯერ აღემატება მაღალი ცათამბჯენის სიმაღლეს!

პარკი მაღალ ტემპერატურაზე უნდა დამუშავდეს. პირველ ეტაპზე პარკებს ცხელი წყლით ან ორთქლით ამუშავებენ, რათა შეწებებული ძაფები დააცალკევონ. შემდეგ იწყება ძაფების მბრუნავი ჯაგრისებით დაცალკევება. სასურველი სისქის ძაფის მისაღებად ორი ან რამდენიმე პარკიდან ამოხვეულ წვრილ ძაფებს ერთ წვერად ახვევენ. კოჭაზე დახვევისას ძაფი შრება. შემდეგ დაუმუშავებელ აბრეშუმს ისევ ახვევენ, ამჯერად უფრო დიდ კოჭაზე, რათა მიიღონ სასურველი სიგრძისა და მასის ძაფი.

აბრეშუმის ქსოვილი ისეთი გლუვი და რბილია, რომ ადამიანს სიამოვნებს მისი შეხება. აბრეშუმს სინოტივის შეწოვის უნარი აქვს და კანს სუნთქვის საშუალებას აძლევს, რის შედეგადაც ცხელ ამინდში კანი მშრალი და გრილი რჩება. როგორც ამბობენ, აბრეშუმი ადამიანს კანის სხვადასხვა დაავადებისგან იცავს. აბრეშუმის პუდრს ზოგ კოსმეტიკურ საშუალებაში იყენებენ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროცესი შეღებვაა. აბრეშუმი ადვილად იღებება. საღებავი ღრმად უჯდება ქსოვილს და ხასხასა ფერს აძლევს.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რატომ ინახავდნენ ჩინელები აბრეშუმის წარმოების წესს საიდუმლოდ?

ა) ამით აბრეშუმზე მონოპოლიას ინარჩუნებდნენ.

ბ) ამით თუთის აბრეშუმხვევიას გამრავლებას ხელს უწყოდნენ.

გ) ამით ყველაზე ხარისხიანი აბრეშუმის წარმოებას უზრუნველყოფდნენ.

2. რატომ გაგზავნა ბიზანტიის იმპერატორმა ბერები ჩინეთში?

ა) აბრეშუმის ძაფის რთვის წესებს რომ გასცნობოდნენ.

ბ) აბრეშუმის წარმოების მონოპოლია თავად რომ ჩაეგდოთ ხელში.

გ) აბრეშუმის წარმოების საიდუმლო რომ გაეგოთ.

3. რის შესახებ არის საუბარი ტექსტის მე-4 აბზაცში?

ა) როგორ მრავლდება აბრეშუმის ჭია.

ბ) როდის იწყებს ჭია აბრეშუმის რთვას.

გ) სად დებს აბრეშუმის პეპელა კვერცხს.

4. ზრდის დასრულების შემდეგ:

ა) აბრეშუმის ჭიის სხეული გამჭვირვალე ხდება.

ბ) 70-ჯერ იმატებს წონაში და ოთხჯერ იცვლის კანს.

გ) ჭია დღე და ღამე თუთის ფოთოლს ჭამს.

5. აბრეშუმის წვრილი ძაფი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც:

ა) აბრეშუმის გამომყოფ ჯირკვლებში ფიბროინი გროვდება.

ბ) ზრდის დასრულების შემდეგ ჭიის სხეული გამჭვირვალე ხდება.

გ) ჰაერის ზემოქმედების შედეგად თხიერი აბრეშუმი მაგრდება.

LIVEWORKSHEETS

6. რომელი წინადადებიდან ჩანს, რომ აბრეშუმის პარკის ამოხვევა მძიმე შრომაა ჭიისათვის?

ა) აბრეშუმის ჭია დაახლოებით 150 000-ჯერ გაუჩერებლად ატრიალებს თავს.
ბ) გამოსაკვებად ძალიან დიდი რაოდენობით თუთის ფოთლის ჭამაა საჭირო.
გ) ჭიის სხეულში საოცარი გარდაქმნები ხდება და გამოიყოფა ფიბროინი.

7. რამდენიმე პარკიდან ამოხვეულ წვრილ ძაფებს ერთ წვერად ახვევენ, რათა მიიღონ:

ა) სასურველი სიგრძის ძაფი.
ბ) სასურველი სისქის ძაფი.
გ) სხვადასხვა ფერის ძაფი.

8. რაზეა საუბარი ბოლო აბზაცში?

ა) კანის რომელი დაავადებისგან იცავს აბრეშუმი ადამიანს.
ბ) რითაა სასარგებლო აბრეშუმის ქსოვილი.
გ) როგორ იღებება აბრეშუმის პარკი.

LIVEWORKSHEETS